ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №10

10.06.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
5. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" **(12-032215961-03; 08.06.2022);**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" **(N12-032215961-03; 08.06.2022);**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(12-0322159128-03; 08.06.2022);**

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **(12-032214782-03; 27.05.2022);**

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების

დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ **(12-032214781-03; 27.05.2022);**

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **(12-032212690 - 03; 06.05.2022).**

მომხსენებლები:

- **ვლადიმერ ჭიღლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ვ.ჭიღლაძე - დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის, ხოლო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტებზე მსჯელობას.

მომხსენებლმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო კახაბერ გულედანის და ლევან ნაროუშვილის ბიოგრაფია და მოუწოდა კენჭი ეყარათ განკარგულების პროექტების **(12-032215961-03; 08.06.2022; N12-032215961-03; 08.06.2022)** საკრებულოს სხდომაზე გატანის საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5 **;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" **(12-032215961-03; 08.06.2022)** და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" **(N12-032215961-03; 08.06.2022)** გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (12-0322159128-03; 08.06.2022):

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები - 1 750,0 ათასი ლარით და მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 750,0 ათასი ლარის ოდენობით (ფაქტიურად მიღებული შემოსავლები). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 2 500,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 394 733,5 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - **3 423,6 ათასი** ლარით.
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - **3 000,0 ათასი** ლარით.

- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნებები - **65,0 ათასი** ლარით.
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - **8 211,4 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - **1 000,0 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 319 954,0 ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **74 779,5 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 244 854, 0 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **(56 948,9)** ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ **(12-0322159128-03; 08.06.2022)** გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (12-032214782-03; 27.05.2022):

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში და დადგენილების 1-ლი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1.დამტკიცდეს: ა)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №22.800.857 განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №22.800.857 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების განრიგი, დანართი 2-ის შესაბამისად.

მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მომზადებული ზ/ა ცვლილებები და მასთან ერთად მარშრუტების მოძრაობაში გარკვეული კორექტივების განხორციელება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში, ითვალისწინებს შემდეგს:

მარშრუტი №379 - მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიიდან მუხიანის დასახლების მიმართულებით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაემატა 2 ერთეული და ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრა 4 ერთეული, პიკური ინტერვალი 13 წუთიდან დავიდა 7 წუთზე. აღნიშნული უზრუნველყოფს M_2 კატეგორიის №445 მარშრუტის მგზავრთნაკადის გადაყვანას და №445 მარშრუტის გამონთავისუფლებას.

მარშრუტი №333 - ვაზისუბნის დასახლებიდან და ცოტნე დადიანის ქუჩიდან დიღმის მასივის მიმართულებით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მარშრუტს დაემატა ერთი ერთეული და ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრა 14 ერთეული, ინტერვალი 16 წუთიდან დავიდა 15 წუთზე.

მარშრუტი №330 - გუმათჰესის ქუჩიდან („აფრიკის“ დასახლება) მ/ს „სამგორის“ მიმართულებით არსებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე მარშრუტს დაემატა ერთი ერთეული და მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრა 7 ერთეული და იმოძრავებს 12 წუთიან ინტერვალში.

მარშრუტი №375 - ზღვის უბნის IV-III მიკრორაიონიდან მ/ს „სარაჯიშვილის“ მიმართულებით არსებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე მარშრუტს დაემატა ერთი ერთეული და მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობად განისაზღვრა 3 ერთეული და იმოძრავებს 20 წუთიან ინტერვალში ნაცვლად 30 წუთისა.

მარშრუტი №389 - ვაშლიჯვრის დასახლებიდან მუხრან მაჭავარიანის ქუჩის და საბურთალოს მიმართულებით არსებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე მარშრუტს დაემატა ერთი ერთეული და მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობა განისაზღვრა 6 ერთეული და იმოძრავებს 18 წუთიან ინტერვალში, ნაცვლად 24 წუთისა.

მარშრუტი №303 - ვარკეთილის დასახლებაში ილია სუხიშვილის, სესილია თაყაიშვილის და ვარკეთილის II მ/რაიონის მიმართულებით არსებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე მარშრუტს დაემატა ერთი ერთეული. მარშრუტზე ყოველდღიურად

მომუშავე ავტობუსების რაოდენობა განისაზღვრა 4 ერთეულით და იმოძრავებს 6 წუთიან ინტერვალში, ნაცვლად 8 წუთისა.

მარშრუტი №399 - აღნიშნულ მარშრუტზე კვირა დღეს არსებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე დაემატა 2 ავტობუსი და ინტერვალი განისაზღვრა 9 წუთი, ნაცვლად 12 წუთისა.

ასევე, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია **5 ახალი მარშრუტი**:

მარშრუტი №293 - აღნიშნული მარშრუტი უზრუნველყოფს დიდი დიღმის დასახლების, კერძოდ ფარნავაზ მეფის გამზირის, დემეტრე თავდადებულის და იოანე პეტრიწის ქუჩის კავშირს მ/ს „სარაჯიშვილის“ მიმართულებით. მარშრუტი ჩამოყალიბდა: მ/ს "სარაჯიშვილი" - დავით სარაჯიშვილის ქ. - თენგიზ შეშელიძის ქ. - გიორგი მინდელის ხიდი - ქართულ ამერიკული მეგობრობის გამზირი - ჯორჯ ბალანჩინის ქ. - მირიან მეფის ქ. - ფარნავაზ მეფის ქ. - დემეტრე თავდადებულის ქ. - პეტრე იბერის ქ. - იოანე პეტრიწის ქ. - ფარნავაზ მეფის ქ. - მირიან მეფის ქ. - ჯორჯ ბალანჩინის ქ. - გიორგი მინდელის ხიდი - თენგიზ შეშელიძის ქ. - დავით სარაჯიშვილის ქ. - მ/ს "სარაჯიშვილი" (წრიული). მარშრუტზე იმოძრავებს 3 ერთეული ავტობუსი, ინტერვალი 13 წუთი.

მარშრუტი №294 - აღნიშნული მარშრუტი უზრუნველყოფს მუხიანის დასახლების, კერძოდ, დუმბაძის გამზირის კავშირს მ/ს „ახმეტელის თეატრის“ მიმართულებით. იგი ჩაანაცვლებს M_2 კატეგორიის №444 მარშრუტს და უზრუნველყოფს მგზავრთნაკადის მომსახურებას. მარშრუტი ჩამოყალიბდა: მუხიანის III მ/რ (№5"ა" კორპუსის მიმდებარედ) - ნოდარ დუმბაძის გამზირი - ალეკო გობრონიძის ქ. - მ/ს "ახმეტელის თეატრი" - ალეკო გობრონიძის ქ. - ნოდარ დუმბაძის გამზირი -მუხიანის III მ/რ (№5"ა" კორპუსის მიმდებარედ)(წრიული). მარშრუტზე იმოძრავებს 3 ერთეული ავტობუსი, ინტერვალი 7 წუთი.

მარშრუტი №295 - აღნიშნული მარშრუტი უზრუნველყოფს ბესარიონ ჭიჭინაძის, ქინძმარაულის ქუჩის, მოსკოვის გამზირის კავშირს მ/ს „ვარკეთილის“ მიმართულებით. იგი ჩაანაცვლებს M_2 კატეგორიის №546 მარშრუტს და უზრუნველყოფს მგზავრთნაკადის მომსახურებას. მარშრუტი ჩამოყალიბდა: ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. (№27 კორპუსის მიმდებარედ) - გუმათჰესის ქ. - ქინძმარაულის ქ. - მოსკოვის გამზირი - ჯავახეთის ქ. - მ/ს "ვარკეთილი" (მობრუნება ლიზა ნაკაშიძე ბოლქვაძის ქუჩის გადაკვეთასთან) - ჯავახეთის ქ. - მოსკოვის გამზირი - ქინძმარაულის ქ. - გუმათჰესის ქ. - ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. (№27-ის მიმდებარედ) (წრიული). მარშრუტზე იმოძრავებს 6 ერთეული ავტობუსი, ინტერვალი 10 წუთი.

მარშრუტი №296 - აღნიშნული მარშრუტი უზრუნველყოფს ემირ ბურჯანაძის ქუჩის, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩის და მოსკოვის გამზირის კავშირს მ/ს „სამგორისა“ და მ/ს „ისნის“ მიმართულებით. იგი ჩაანაცვლებს M_2 კატეგორიის №544 მარშრუტს და უზრუნველყოფს მგზავრთნაკადის მომსახურებას. მარშრუტი ჩამოყალიბდა: ემირ ბურჯანაძის ქ. (დავით ყიფიანის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ) - ემირ ბურჯანაძის ქ. -

ნაკადულის ქ. - პეტრე და იოსებ ოცხელების ქ. - ქინძმარაულის ქ. - მოსკოვის გამზირი - ქეთევან დედოფლის გამზირი - მ/ს "ისანი". <u>უკუმიმართულებით:</u> მ/ს „ისანი“(ქეთევან დედოფლის გამზირი №67“ა“-ს მოპირდაპირედ) – ვაჟა ჩაჩავას ქ. – აწყურის ქ. – კახეთის შესახვევი – ქეთევან დედოფლის გამზირი – მოსკოვის გამზირი – ქინძმარაულის ქ. - პეტრე და იოსებ ოცხელების ქ. - ნაკადულის ქ. - ემირ ბურჯანაძის ქ. - ემირ ბურჯანაძის ქ. (დავით ყიფიანის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ). მარშრუტზე იმოძრავებს 8 ერთეული ავტობუსი, ინტერვალი 7 წუთი.

მარშრუტი №297 - აღნიშნული მარშრუტი უზრუნველყოფს გლდანის III-V-VII მ/რაიონების და ხოჭოს ტბის ქუჩის მიმდებარედ არსებული დასახლებების კავშირს მ/ს „ახმეტელის თეატრთან“. იგი ჩაანაცვლებს M_2 კატეგორიის №425 მარშრუტს და უზრუნველყოფს მგზავრთნაკადის მომსახურებას. ამასთან ნაწილობრივ მოემსახურება M_2 კატეგორიის №480 მარშრუტის მგზავრთნაკადის გადაყვანას. მარშრუტი ჩამოყალიბდა: ხოჭოს ტბის ქ. (ნასერალის ქედის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ) - ხოჭის ტბის ქ. - ომარ ხიზანიშვილის ქ. - ზურაბ მირაქიშვილის ქ. - დავით ჯაბიძის ქ. - ვლადიმერ ნანეიშვილის ქ. - ილია ვეკუას ქ. - ომარ ხიზანიშვილის ქ. (გადასვლა გლდანის I მ/რაიონი, კორპუსი №23 "ბ"-ს მოპირდაპირედ) - ილია ვეკუას ქ. (გადასვლა ომარ ხიზანიშვილის ქ. №17-ის მიმდებარე ტერიტორიიდან) - მ/ს " ახმეტელის თეატრი" - ომარ ხიზანიშვილის ქ. - ილია ვეკუას ქ. (გადასვლა ომარ ხიზანიშვილის ქ. №17-ის მიმდებარე ტერიტორიიდან) - ვლადიმერ ნანეიშვილის ქ. - დავით ჯაბიძის ქ. - ზურა მირაქიშვილის ქ. - ომარ ხიზანიშვილის ქ. - ხოჭის ტბის ქ. (ნასერალის ქედის ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ)(წრიული). მარშრუტზე იმოძრავებს 9 ერთეული ავტობუსი, ინტერვალი 6 წუთი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-032214782-03; 27.05.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032214781-03; 27.05.2022):**

დ.ჯაიანი - დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული

სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების (დანართი 1) და მისი შემადგენელი დანართი 2-ის და დანართი 3-ის ნაწილში შესაბამისი კორექტივების შეტანას.

უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი პროექტის თანახმად:

მგზავრთა მომსახურებისა და სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების (M_2 კატეგორია) ##426,429,453,496,510,511,543 მარშრუტებზე, დღის არაპიკურ პერიოდში გათვალისწინებული იქნა დამატებითი მოძრავი შემადგენლობა.

მომატებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე, M_2 კატეგორიის ავტობუსების ##407,422,423,437,439,446,459,460,475,486,500,505,511,521,524,530 მარშრუტებზე თითო ერთეული მოძრავი შემადგენლობის დამატებით, ხოლო ##413,426,448,476,493,516,582 მარშრუტებზე სიჩქარის კორექტირების ხარჯზე შემცირდა ინტერვალები, რითაც გაუმჯობესდება მომსახურება და პიკურ პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება მზარდი მგზავრთნაკადის გადაყვანის შესაძლებლობა.

№455 მარშრუტის სიჩქარის კორექტირების ხარჯზე შეუმცირდა ინტერვალი და მასთან გამონთავისუფლდა ერთი მოძრავი შემადგენლობა.

დედაქალაქში სატრანსპორტო მომსახურების კუთხით, გამოიკვეთა მარშრუტები, სადაც მიუხედავად მინიმალური 3 წუთიანი ინტერვალისა, მაინც გართულებულია მომსახურების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ასეთ მარშრუტებზე არსებული M_2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები ჩანაცვლებულიყო M_3 კატეგორიის ავტობუსებით. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება იგეგმება M_2 კატეგორიის №№425,444,445,544,546 მარშრუტებზე, კერძოდ:

№425 მარშრუტი - არსებული სატრანსპორტო საშუალებები ნაცვლდება M_3 კატეგორიის ავტობუსებით, რომელიც სრულად დაფარავს მის გზასავალს. M_3 კატეგორიის ახალი მარშრუტი იქნება №297.

№444 მარშრუტი - არსებული სატრანსპორტო საშუალებები ნაცვლდება M_3 კატეგორიის ავტობუსებით, რომელიც სრულად დაფარავს მის გზასავალს. M_3 კატეგორიის ახალი მარშრუტი იქნება №294.

№445 მარშრუტი - არსებული მარშრუტის გზასავალზე მოძრავი M_3 კატეგორიის №379 მარშრუტზე მოძრავი შემადგენლობის გაზრდის და 13 წუთიანი ინტერვალის 7 წუთამდე დაყვანით, მოხდება №445 მარშრუტზე არსებული მგზავრთნაკადის მომსახურება.

№544 მარშრუტი - არსებული სატრანსპორტო საშუალებები ნაცვლდება M_3 კატეგორიის ავტობუსებით, რომელიც სრულად დაფარავს მის გზასავალს. M_3 კატეგორიის ახალი მარშრუტი იქნება №296.

№546 მარშრუტი - არსებული სატრანსპორტო საშუალებები ნაცვლდება M_3 კატეგორიის ავტობუსებით, რომელიც სრულად დაფარავს მის გზასავალს. M_3 კატეგორიის ახალი მარშრუტი იქნება №295.

ზემოაღნიშნული ცვლილებებით (ჩანაცვლებებით) გამონთავისუფლდება M_2 კატეგორიის №№425,444,445,544,546 მარშრუტები, რომელთა ნაწილი - №№425,444,546 გამოყენებულია ახალი მარშრუტების ნომრების მინიჭებისათვის, ხოლო დარჩენილი №№445,544 მარშრუტები ამოღებულ იქნა დანართი 1, დანართი 2 და დანართი 3-დან.

ახალი მარშრუტები:

მარშრუტი №425 - აღნიშნული მარშრუტით მომსახურება გაეწევა მეტრომშენის დასახლებაში კონსტანტინე ამირეჯიბის, ნოე ხომერიკის და წალენჯიხის ქუჩების მაცხოვრებლებს მ/ს „სამგორამდე“. მარშრუტზე ჩართული იქნება 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, პიკური ინტერვალი 15 წუთი.

მარშრუტი №444 - აღნიშნული მარშრუტით მომსახურება გაეწევა ზღვის უბნის დასახლებაში IV მ/რაიონს მ/ს „სარაჯიშვილამდე“. მარშრუტზე ჩართული იქნება 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, პიკური ინტერვალი 7 წუთი.

მარშრუტი №546 - აღნიშნული მარშრუტით მომსახურება გაეწევა იყალთოს გორიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის და ბახტრიონის ქუჩების მაცხოვრებლებს მ/ს ,,ტექნიკური უნივერსიტეტამდე“ („ბუკიას“ ბაღი). მარშრუტზე ჩართული იქნება 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, პიკური ინტერვალი 10 წუთი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032214781-03; 27.05.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032212690 - 03; 06.05.2022):

ვ.აბულაძე - დადგენილების მე-4[1] მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მგზავრობისათვის გამოყენება ან ამ ბარათის გადაცემა სხვა პირისათვის, რომელიც აღნიშნულ ბარათს გამოიყენებს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ტრანსპორტში (M_2 და M_3 კატეგორიის ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო გზა „უნივერსიტეტი-ბაგები“) თავისი ან/და სხვა პირთა მგზავრობისათვის, აღნიშნული შემთხვევის გამოვლენისას შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს სამართალდამრღვევი პირის კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას და დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის შესახებ, თუ მას აქვს პორტატული ელექტრონული მოწყობილობა ან უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულისთვის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის მიზნით. ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვა ხორციელდება ერთი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათი ექვემდებარება ავტომატურ, უფასო განბლოკვას.

აღსანიშნავია, რომ მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ტრანსპორტში მგზავრობისას ხშირია შემთხვევები, როდესაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები (მხარდაჭერის მიმღები) ან პირები, რომლებსაც ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა აქვთ, რაც მეხსიერების პრობლემებს იწვევს, იყენებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიების უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე ოჯახის წევრების ან ახლობლების სამგზავრო პლასტიკურ ბარათებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გამონაკლისის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს მიენიჭოს დაბლოკილი ბარათის სამგზავრო ფუნქციის ვადაზე ადრე განბლოკვის უფლებამოსილება. ზ/ა გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა მოცემული დადგენილების პროექტის შემუშავების აუცილებლობა. ამასთანავე ზეპირსიტყვიერად

წარმოგიდგენთ ინიციატივას 1[1] პუნქტს დაემატოს წინადადება - განბლოკვაზე უარი საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032212690 - 03; 06.05.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე